

ფილმი და არქიტექტურა FILM AND ARCHITECTURE

კინორჩვენება დისკუსიის თანხლებით / FILM SCREENINGS WITH DISCUSSIONS



კადრი ფილმიდან „ცა ბერლინის თავზე“ / Film still from "Wings of Desire" © Wim Wenders Foundation

Graphic design: © Studio Kuritsvili

#1

22.01. – 12.03.2026

22 იანვრიდან 12 მარტის ჩათვლით, ყოველ ხუთშაბათს, ხელოვნების ფონდი ანაგი მასპინძლობს თემატური კინოპროგრამის **ფილმი და არქიტექტურა** პირველ გამოცემას. პროგრამა ეძღვნება მხატვრულ, დოკუმენტურ და ექსპერიმენტულ კინოპროექტებს, რომლებიც შექმნილია ქალაქის, ლანდშაფტის და ზოგადად არქიტექტურის კონტექსტში. პროგრამის მიზანია საზოგადოებას განსხვავებული კუთხით მიაწოდოს ხელოვნების ეს ორი დარგი. წარმოდგენილი იქნება 8 ფილმი – ფილმები ქალაქებზე, ემბლემატურ შენობებზე, ასევე ფილმები ცალკეულ არქიტექტორებზე და არქიტექტურულ დინასტიებზე. მაყურებელი იხილავს ამ თვალსაზრისით სხვადასხვა დროის ისეთ გამორჩეულ პროექტებს როგორცაა: **ბიომედი. ერთი ოჯახის არქიტექტურა, ზაბრისკი პოინტი, რემ, ცა ბერლინის თავზე, ვილა თუგენდატი, ცხოვრება კოლჰასის სახლში, რიო, სიკვდილი ვენეციაში**. ჩვენებები ჩატარდება დისკუსიის თანხლებით, ზოგ შემთხვევაში მონვეულ სტუმრებთან ერთად. ფილმების ჩვენების პარალელურად წარმოდგენილი იქნება თემასთან დაკავშირებული მასალები პუბლიკაციების, ფოტოების, ნახაზების სახით. ჩვენების შემდეგ შედგება დისკუსია კითხვა-პასუხის ფორმატში. პროგრამა მიყავს ირინა ქურთიშვილს.

22.01.

20:00 H

ბიომეზი. ერთი ოჯახის არქიტექტურა CONCRETE LOVE. THE BÖHM FAMILY



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kuritsvili

რ: მაურიციუს სტაერკლე დრუქსი / D: Maurizius Staerke Drux
გერმანია, შვეიცარია / Germany, Switzerland
2014

87 წუთი / 87 minutes

ორიგინალური ვერსია (გერმანული) / Original version (German)
ინგლისური სუბტიტრები / With English subtitles

“ბიომეზი. ერთი ოჯახის არქიტექტურა” პროგრამის გახსნის ფილმი, მისი ჩვენება დაჰამთხვით დიდი გერმანელი არქიტექტორის გოტფრიდ ბიომის დაბადებიდან 106 წლის იუბილეს. ფილმის ჩვენების კარალულურად წარმოდგენილი იქნება არქიტექტურის ბიომეზის არქიტექტურული მემკვიდრეობიდან — ძველი და ახალი კუბლიკაციები, ფოტოგრაფი, ნახაზების რეკონსტრუქციები (კურატორის კოლექციიდან), რომლის ორიგინალიც დასულია DAM — გერმანიის არქიტექტურის მუზეუმის არქივში, ფრანკფურტში.

DIE BÖHMS. ARCHITEKTUR EINER FAMILIE — არქიტექტურა ოჯახის ინდივიდუალური პორტრეტი

დოკუმენტური ფილმი ასახავს გერმანელ არქიტექტორთა ლეგენდარული დინასტიის შემოქმედებითი ცხოვრების გზას. კოსმოპოლიტიზმი და მოცემული სტანდარტებიდან მიზანმიმართული გადახრა, როგორც წესი, ამბიციური არქიტექტურის მახასიათებლებია. დინასტიის შემოქმედებითი გზა დომინიკუს ბიომით (1880–1955) იწყება — „ვაშენებ, რისიც მჭერა“, როგორც თავად ამბობდა — და მოიცავს მისი შვილის, გოტფრიდ ბიომის (1920–2021) და მისი მომდევნო თაობის არქიტექტურულ პრაქტიკას, რაც უმთავრესად კათოლიკური ეკლესიების მშენებლობას ემყარებოდა. განხორციელებულ პროექტებში ნათლად იკვეთება მათი უნიკალური ხელწერა, რომელიც

სკულპტურულ ფორმებში, ბეტონისა და მინის გამორჩეულ გამოყენებაში ვლინდება. ფილმი, ამავდროულად არქიტექტორთა დიდი ოჯახის ინდივიდუალური პორტრეტსაც წარმოადგენს. განსაკუთრებული ვიზუალური დახვეწილობით არის გადმოცემული როგორც ოჯახის საერთო შემოქმედებითი უნივერსუმი, ისე თითოეული არქიტექტორის ინდივიდუალური სამყარო. ფილმის რეჟისორი, შვეიცარიელი მაურიციუს სტაერკლე დრუქსი, ფილმის შექმნის პროცესში ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ბიომებთან ერთად, ქალაქ კიოლნში.

არქიტექტორი გოტფრიდ ბიომი | 1920–2021

გოტფრიდ ბიომი დაიბადა 1920 წლის 20 იანვარს, ოფენბახში, გერმანიაში. სწავლობდა არქიტექტურას მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში და ქანდაკებას მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. პროფესიული გზა დაიწყო მამის, დომინიკუს ბიომის არქიტექტურულ ბიუროში, ხოლო შემდგომ მუშაობდა რუდოლფ შვარცთან კიოლნში და გარკვეული დრო გაატარა აშშ-ში, სადაც შეხვდა ლუდვიგ მის ვან დერ როესა და ვალტერ გროპიუსს.

1957 წლიდან გოტფრიდ ბიომმა გადაიბარა მამისეული ბიურო და შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი ნაგებობა, მათ შორის 39 ეკლესია, რომლებიც გამოირჩევიან სკულპტურული ფორმებითა და ბეტონის, რკინისა და მინის არაორდინალური გამოყენებით. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნამუშევრად ნევიგესის წმინდა მარია ეკლესია ითვლება. 1963 წლიდან იგი აახენის RWTH უნივერსიტეტის პროფესორი იყო. გოტფრიდ ბიომი მრავალი საერთაშორისო აკადემიის წევრი იყო და მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის პრიცკერის არქიტექტურული პრემია (1986). გოტფრიდ ბიომი გარდაიცვალა 2021 წლის 9 ივნისს, კიოლნში.

29.01.

20:00 H

ზაბრისკი პოინტი ZABRISKIE POINT



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kurtschwil

რ: მიქელანჯელო ანტონიონი / D: Michelangelo Antonioni
 ო: კარლო დი პალმა / C: Carlo Di Palma
 მ: Pink Floyd / M: Pink Floyd
 მ/რ: მარკ ფრეშეტი, დარია ჰელპრინი / S: Marc Frechette, Daria Halprin
 MGM აშშ / USA
 1970
 107 წუთი / 107 min
 ორიგინალური ვერსია (ინგლისური) / Original version (English)

ZABRISKIE POINT – ანტონიონის პოეტური და პროვოკაციული ნარატივი

1970 წელს, მიქელანჯელო ანტონიონი The New York Times-ის ყურადღების ცენტრში მოექცა თავისი ფილმით, რომლის პრემიერა აშშ-ში შედგა. ამერიკელი პროდუსერები ელოდნენ ფილმს, რომელიც MGM სტუდიას სრულიად ახალ იმიჯს შეძენდა. თუმცა კრიტიკოსებმა ფილმი არა მხოლოდ სუსტად შეაფასეს, არამედ დაგმეს – შეურაცხყოფად მიიჩნიეს ამერიკული მატერიალური კეთილდღეობის ასახვის მეთოდი და რეჟისორი „ახალგაზრდების ექსპლუატაციაში“ დაადანაშაულეს. აშშ-ში ფილმი ეკრანებზე გამოსვლისთანავე 10 ყველაზე ცუდ ფილმს შორის მოხვდა. ZABRISKIE POINT ამერიკის ეპიკური პორტრეტია, ამერიკული კონტრკულტურის ერთ-ერთი დოკუმენტი.

დარია და მარკი, ერთმანეთს არიზონას უდაბნოში გამავალ საავტომობილო გზაზე ხვდებიან. მარკი გატაცებული თვითმფრინავიდან დარიას ავტომობილს ციდან აფიქსირებს და როცა სანვაკი უთავდება, იძულებულია დაეშვას მიწაზე. ახალგაზრდები ერთად ატარებენ შუადღეს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ე.წ. „სიკვდილის ველზე“ (Zabriskie Point), სადაც მათ კათარზისული დასასრული უახლოვდებათ.

მარკი ბრუნდება ლოს-ანჯელესში, მას პოლიციელის მკვლელობისთვის აეროპორტში დასაჭერად ელოდებიან. გამიზნული გასროლით ის ადგილზე, თვითმფრინავის კაბინაში იღუპება. დარია ტრაგიკულ ამბავს მანქანის რადიოში იგებს, თუმცა აგრძელებს გზას სამსახურისკენ, უძრავი ქონების დეველოპერულ კომპანიაში.

შენობა, რომელიც სავარაუდოდ, კომპანიის მფლობელის პირადი საცხოვრებელიც უნდა იყოს, უდაბნოში, უზარმაზარ კაქტუსებსა და სუკულენტებს შორისაა წამოზიდული. ვილა Boulder Reign, რომელიც იტალიელმა რეჟისორმა 1968 წელს იქირავა გადასაღებად, დღესაც დგას არიზონას შტატის ქალაქ კარფრიში, ფენიქსის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ვილა ინტეგრირებულია Black Mountain-ის სამხრეთ კალთაზე არსებულ კლდოვან წარმონაქმნებში.

ფილმის ფინალში ვილა ფეთქდება – სცენა ემბლემატურად ასახავს განადგურებას და ემოციურ გათავისუფლებას. აფეთქება ფილმის საკვანძო მომენტიცაა, რომელიც რეჟისორმა ერთდროულად 17 კინოკამერით გადაიღო, რისთვისაც სპეციალური ნაგებობა აშენდა. ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე, ერთ-ერთ ინტერვიუში ანტონიონიმ გააზიარა თავისი შთაბეჭდილებები ამერიკის შესახებ. განსაკუთრებით აღნიშნა ფინალური სცენა, რაც სამომხმარებლო საზოგადოებაზე ღია ნეგატიურ კომენტარად იქნა აღქმული. დღეს ეს ლოკაცია ადგილობრივებისთვის ისტორიული ადგილია – კლდეებზე ჯერ კიდევ ჩანს ნახანძრალის კვალი.

ანტონიონის „მარქსისტ-ინტელექტუალური კინორეჟისორის“ რეპუტაციამ საბჭოთა კავშირში ფილმს დიდი წარმატება მოუტანა. ფილმის პრობლემატიკა, თვალწარმტაცი ვიზუალი და ლეგენდარული Pink Floyd-ის მუსიკა კინოთეატრების წინ გრძელი რიგების გარანტი გახდა.

რემ REM



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kurtschwil

რ: ტომას კოლჰასი / D: Tomas Koolhaas
 მ: მირეი ჰიდარი / M: Murray Hidary
 აშშ, ნიდერლანდები / USA, Netherlands
 2016
 75 წუთი / 75 min
 ორიგინალური ვერსია (ინგლისური) / Original version (English)

დავთანხმდი. თუმცა მიზეზი სულ სხვა იყო... ჩემი აზრით, ფილმები, რომლებიც უკვე არსებობდნენ რემზე, სიცარიელეს ტოვებდნენ. ეს ჩემთვის შესაძლებლობა იყო, რათა რემს წარმოეჩინა საკუთარი შრომის ადამიანური მხარეები“.

REM — არქიტექტორის პორტრეტი ადამიანური პერსპექტივიდან

REM ლეგენდარული არქიტექტორის, რემ კოლჰასის იშვიათი პორტრეტია. დოკუმენტური ფილმი ასახავს, თუ როგორ ფიქრობს, ქმნის და აღქვამს სივრცეს ადამიანი, რომელმაც თანამედროვე არქიტექტურის თვალსაზრისით საზოგადოებრივ ცდომილებებზე და სტერეოტიპებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ფილმი მცდელობაა, ჰოლანდიელი არქიტექტორის შემოქმედება განსხვავებულ ქრილში, არქიტექტურის ინტელექტუალური რეალობის მიღმა იყოს შეფასებული.

ოთხი ათწლეულის განმავლობაში რემ კოლჰასმა არქიტექტურის სფერო სრულიად გარდაქმნა და ხელახლა განსაზღვრა არქიტექტორის როლი. ფილმი, რომელზეც არქიტექტორის შვილი სამი წელი მუშაობდა, იწყება წინადადებით: „არქიტექტურა გარედან ხშირად განიხილება როგორც უსულო საგანი, რომელიც უძრავ ფორმებში გამოისახება“. სწორედ ეს მიდგომა განსაზღვრავს ფილმის ვიზუალსა და მის შემოქმედებით კონცეფციას. ფილმი რემ კოლჰასის ფიგურას ეძღვნება არა როგორც შვილის – „ბოლოს და ბოლოს, ის მამაჩემია“ – არამედ ფართო ადამიანური პერსპექტივიდან. მისი მიზანია, არქიტექტორის საქმიანობა და შემოქმედება უფრო მრავლისმომცველად წარმოაჩინოს. ტომას კოლჰასი აღნიშნავს: „სულ მეუბნებოდნენ, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა მამაჩემთან ერთად და ერთხელაც

არქიტექტორი რემ კოლჰასი | *1944

რემ კოლჰასი დაიბადა 1944 წლის 17 ნოემბერს როტერდამში, ნიდერლანდებში. კარიერა დაიწყო ჟურნალისტად, ხოლო მოგვიანებით მუშაობდა კინომხატვრად, მათ შორის, ჰოლივუდშიც. სწავლობდა არქიტექტურას Architectural Association School-ში ლონდონში და ნიუ-იორკში, პიტერ აიზენმანთან. მოგვიანებით კორნელის უნივერსიტეტში, ოსვალდ მათიას უნგერსთან.

1975 წელს კოლჰასმა დაარსა OMA (Office for Metropolitan Architecture) რაც მისი ჯგუფის ექსპერიმენტულ ხედვას ასახავდა. 1978 წელს გამოსცა ცნობილი წიგნი, Delirious New York, ხოლო მოგვიანებით, ბრიუს მანსთან ერთად, კლასიკური თეორიული ნაშრომი S,M,L,XL. OMA-ს მნიშვნელოვანი ნაგებობებია: ნიდერლანდების ცეკვის თეატრი ჰააგაში, Kunsthal როტერდამში, Villa dall’Ava, Très Grande Bibliothèque, Jussieu Bibliothèque პარიზში, ZKM კარლსრუეში და სიეტლის საჯარო ბიბლიოთეკა. ასევე: CCTV ჰეკინში, Garage Museum მოსკოვში, Fondazione Prada მილანში, კატარის ეროვნული ბიბლიოთეკა.

კოლჰასი იყო ვენეციის არქიტექტურის ბიენალეს კურატორი (2014) და ჰარვარდის პროფესორი, ხელმძღვანელობდა კვლევით პროგრამას მსოფლიო ურბანული ცვლილებების შესახებ. ჯილდოები: Pritzker Prize (2000), Praemium Imperiale (2003), სამეფო ოქროს მედალი (2004) და Mies van der Rohe Prize (2005). 2008 წელს Time-სმა რემ კოლჰასი 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დაასახელა.

12.02.

20:00 H

ცა ბერლინის თავზე WINGS OF DESIRE



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kurtschwil

HIMMEL ÜBER BERLIN (ორიგინალი სათაური)
 რ: ვიმ ვენდერსი / D: Wim Wenders
 ო: თომას პლენერტი, ანრი ალეკანი / C: Thomas Plannert, Henri Alekan
 მ/რ: ბრუნო განცი, ოტო სანდერსი / S: Bruno Ganz, Otto Sanders
 გერმანია, საფრანგეთი / Germany, France
 1987
 127 წუთი / 127 minutes
 ორიგინალური ვერსია (გერმანული) / Original version (German)
 ინგლისური სუბტიტრები / With English subtitles

WINGS OF DESIRE — ქალაქი, როგორც მთავარი პერსონაჟი

ძნელად თუ მოიძებნება გერმანული ფილმი, რომელმაც თავისი განსაკუთრებული კინემატოგრაფიული სტილის გამო ისეთი წარმატება მოიპოვა, როგორც ვიმ ვენდერსის „ცა ბერლინის თავზე“. ფილმი მოგვითხრობს ბერლინის კედელს მიღმა მცხოვრებ ადამიანებზე, რაც დასავლეთ ბერლინის არქიტექტურულ ფონზე იშლება. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ არქიტექტურული ფილმი — ვენდერსი ქალაქს იყენებს, როგორც ცენტრალურ ელემენტს სურეალისტური ამბის ვიზუალიზაციისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ბერლინში ხდება.

ვიმ ვენდერსის „კინობლაპარში“ უხილავი ანგელოზები მჭიდროდ დასახლებულ, ემოციურად იზოლირებულ ქალაქში ცხოვრობენ. ანგელოზების როლებს თეატრის მსახიობები ოტო სანდერსი და ბრუნო განცი ასრულებენ. ანგელოზები დამიელი და კასიელი ქალაქის ერთი მხრიდან აკვირდებიან მჭიდროდ დასახლებულ ბერლინს, ისინი ახალ სიცოცხლეს შთაბერენ ორად გაყოფილი ქალაქის გარემოს. ისინი ხედავენ ადამიანთა განცდებს, იზიარებენ მათ გრძნობებს და აზრების მოსმენა შეუძლიათ. ერთ-ერთ ანგელოზს, რომელსაც

ბრუნო განცი ასრულებს, შეუყვარდება ახალგაზრდა ქალი და მისი გულისთვის უკვდავებაზე უარს ამბობს. დამიელი ეცნობა ქალის შინაგან სამყაროს, სურს იცხოვროს ადამიანური არსებობით და რეალურად გაესაუბროს მას.

ფილმი გადაღებულია ჯერ კიდევ კედლის დანგრევამდე, ამიტომ ძნელად თუ შეიცნობთ დღევანდელ ბერლინს — ქალაქი თითქოს სიზმრისეული პეიზაჟია. ფილმი შეიძლება ცივი ომის ეპოქის ისტორიულ დოკუმენტადაც ჩაითვალოს, თუმცა, ამავდროულად, იგი ფაქიზი მედიტაციაა ადამიანისა და ქალაქის ურთიერთობაზე. ოპერატორების თომას პლენერტის და ანრი ალეკანის მონოქრომული შავ-თეთრი პალიტრა ხაზს უსვამს მელანქოლიურ განწყობას. სცენარის თანაავტორია მწერალი პეტერ ჰანდკე, მისი ლიტერატურული სტილი კარგად ჩანს ფილმის გრძელ მონოლოგებსა და დიალოგებში.

ფილმის გადაღებაში ბერლინის ცნობილ ადგილებში მიმდინარეობდა:

- Siegessäule / გამარჯვების სვეტი** – იკონური კადრების ფონი, თუმცა რეალურად ახლო კადრები სტუდიაში გადაიღეს;
- Potsdamer Platz / პოცდამის მოედანი** – ომის შემდეგ მიტოვებული ტერიტორია, სადაც ბერლინის კედლის დიდი მონაკვეთი გადიოდა;
- Berliner Mauer / ბერლინის კედელი** – ფილმში მეტწილად კედლის ასლია გადაღებული, რადგან რეალური კედლის სიახლოვეში გადაღებებს GDR-ის კანონი კრძალავდა;
- Staatsbibliothek / სახელმწიფო ბიბლიოთეკა** – პოცდამის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, რაც დღემდე ავთენტური სახითაა შენარჩუნებული.

სხვა ლოკაციები:
Esplanade, Anhalter Bahnhof, Lohmühlenbrücke, Theodor-Wolff-Park, Hochbunker Pallasstraße.

19.02.

20:00 H

ვილა თუგენდატი VILLA TUGENDHAT



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kuritsvili

HAUS TUGENDHAT (ორიგინალი სათაური)
რ/პ: დიტერ რეიფარტი / D/P: Dieter Reifarth
მ: დანიელა ჰამერ-თუგენდატი, რუთ გუგენჰაიმ-თუგენდატი, ერნსტ ვოლჰაუტი, ივო ჰამერი, ჯოზეფ გუგენჰაიმი, მაიკლ გუგენჰაიმი და სხვ. / with Daniela Hammer-Tugendat, Ruth Guggenheim-Tugendat, Ernst Wollhau, Ivo Hammer, Joseph Guggenheim, Michael Guggenheim, a.o.
2013
117 წუთი / 117 minutes
ორიგინალური ვერსია (გერმანული) / Original version (German)
ინგლისური სუბტიტრები / With English subtitles

VILLA TUGENDHAT — არქიტექტურა და პირადი სივრცე ისტორიის ზანოლის ფონზე

ფილმი მოგვითხრობს არქიტექტორ ლუდვიგ მის ვან დერ როეს ერთ-ერთ შედევრზე – ვილა თუგენდატზე, რომელიც 1928–1930 წლებში აშენდა გრეტა და ფრიც თუგენდატებისთვის ბრნოში, ჩეხეთში – თანამედროვე არქიტექტურის უნიკალური ნიმუში, სადაც გამოყენებული იქნა იმ დროისთვის არატიპური სამშენებლო მეთოდები და ძვირი მასალები. შენობა გამოსატავს არქიტექტორის უტოპიურ ხედვას და მისი დამკვეთების კოსმოპოლიტურ ცხოვრების წესს მაღალი სოციალური სტატუსის კონტექსტში.

დოკუმენტური ფილმი წარმოჩენს მოდერნიტული არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო შენობას, მის მაცხოვრებლებსა და ისტორიულ მოვლენებს ერთ სიბრტყეში: 1938 წელს, ჩეხეთის ნაციტური ოკუპაციის დროს, თუგენდატების ოჯახი იძულებული იყო ჯერ შვეიცარიაში, ხოლო შემდეგ ვენესუელაში გადასახლებულიყო; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შენობა სამხედრო ბაზად გამოიყენებოდა; შემდგომში ფიზიოთერაპიის ცენტრი და ბავშვთა სკოლა გახდა; ომის შემდგომ წლებში დასავლეთ მორავიაში

დანყებულმა აღდგენისა და კონსერვაციის სამუშაოებმა, შენობა განადგურებისგან იხსნა. კომუნისტურ ეპოქაში ის სოციალური თავშესაფარი იყო.

1989 წლის 17 ნოემბერს პრაღაში, ჩეხეთის უნივერსიტეტების დახურვის 50 წლისთავის აღსანიშნავად სტუდენტთა ავტორიზებული დემონსტრაცია გაიმართა, სადაც 15 000 ადამიანი მონაწილეობდა. გამოსვლები 29 დეკემბრამდე გაგრძელდა, რის შედეგადაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური რეჟიმი დაემხო. ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, ვილა მნიშვნელოვანი პოლიტიკური სცენა გახდა – აქ ვაცლავ კლაუსმა და ვლადიმერ მერიარმა ჩეხოსლოვაკიის დაშლაზე მოლაპარაკებები გამართეს და აქვე გამოაცხადეს, რომ 1993 წლის იანვრიდან ჩეხოსლოვაკია ორ ცალკეულ სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდა. 2001 წელს შენობა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად გამოაცხადდა, როგორც ისტორიულად და არქიტექტურულად მნიშვნელოვანი ნაგებობა.

დიტერ რეიფარტი, დაინტერესდა არქიტექტურული ძეგლით და ათწლეულების განმავლობაში მის გარშემო მიმდინარე სამართლებრივი კონფლიქტით. ფილმში იგი მოგვითხრობს თუგენდატების ოჯახის გასაოცარ მოთმინებაზე და ალტრუიზმზე – ოჯახმა სახლში მხოლოდ 8 წელი იცხოვრა და 70 წელი მის დაკარგვასთან გამკლავებას მოანდომა.

არქიტექტორი ლუდვიგ მის ვან დერ როე | 1886–1969

ლუდვიგ მის ვან დერ როე აახენში, გერმანიაში დაიბადა. იგი ცნობილია ისეთი ემბლემატური შენობებით, როგორიცაა ბერლინში ახალი ეროვნული გალერეა (1968), ნიუ-იორკში სიგრამის შენობა (1958) და ბარსელონას გამოფენის პავილიონი (1929). 1941–1958 წლებში მუშაობდა ილინოისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (IIT) კამპუსის გენერალურ გეგმზე, აშენებული აქვს უნივერსიტეტის შენობები ჩიკაგოში.

26.02.

20:00 H

ცხოვრება კოლჰასის სახლში KOOLHAAS HOUSELIFE



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kurishvili

რ: ილა ბეკა, ლუიზა ლემუანი / D: Ila Bêka, Louise Lemoîne
2008

58 წუთი / 58 minutes

ორიგინალური ვერსია (ფრანგული) / Original version (French)
ინგლისური სუბტიტრები / With English subtitles

KOOLHAAS HOUSELIFE — სახლი, როგორც გათავისუფლების სივრცე

სახლის ისტორია ეხმაურება ტრაგიკულ შემთხვევას: ავტოკატასტროფის შემდეგ ოჯახის მამა ინვალიდის ეტლს მიეჯახვა. შუა საუკუნეების ქალაქი, სადაც ოჯახი ცხოვრობდა მათთვის ციხედ იქცა; სწორედ ამ გამოცდილებამ წარმოშვა სურვილი ისეთი სახლის შექმნისა, რომელიც ოჯახს თავისუფლებას დაუბრუნებდა. წყვილმა არქიტექტორს გაანდო, რომ კომპლექსური სახლი სურდათ, რომელიც მათ სიტუაციას ახლიდან განსაზღვრავდა. სახლი ცნობილია სახელწოდებით Maison à Bordeaux — იგი არა ერთი, არამედ სამი ერთმანეთზე დაშენებული სახლია — არქიტექტურა, რომელიც ცხოვრებას ემსახურება.

დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს ჰოლანდიელი არქიტექტორის, რემ კოლჰასის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროექტის, Maison à Bordeaux შესახებ. ეს არ არის მხოლოდ სახლი, არამედ არქიტექტურულ-საინჟინრო სისტემაა, რომლის გულშიც სპეციალური მანქანა-დანადგარი დგას: მოძრავი პლატფორმა ქმნის მუდმივად ცვალებად სივრცეს და ამყარებს ცოცხალ დიალოგს ინტერიერსა და ექსტერიერს შორის. არქიტექტურა სტატიკური ობიექტი აღარ არის — ის მოძრაობს, რეაგირებს და ყოველდღიურ ცხოვრებას ერგება.

ფილმის მთავარი გმირია გვადალუპე აცედო, სახლის მოვლაზე პასუხისმგებელი პირი, წარმოშობით ექსტრე-

მადურადან, რომელიც ბორდოში ცხოვრობს. ფილმი ჟაკ ტატის ცნობილ ფილმს, Mon Oncle-ს (1958) გვაგონებს, სადაც არქიტექტურა და ყოველდღიური ყოფა იუმორითა და ირონიით ეჯახება ერთმანეთს. რეჟისორები ფრანგული კინოს საუკეთესო ტრადიციებში შეგვახსენებენ, რომ არქიტექტურა არ არის მხოლოდ „მოცულობა ცის ქვეშ“ — ის სოციალური პროცესის შედეგია, შექმნილი იმისთვის, რომ მასში ადამიანმა იცხოვროს, იმოძრაოს, იმუშაოს და ისიამოვნოს.

Maison à Bordeaux სამსართულიანი კერძო საცხოვრებელია, აგებული ბორცვზე, საიდანაც ქალაქ ბორდოს პანორამული ხედები იშლება. ქვედა დონე საძინებლებს ეთმობა; ბაღის დონეზე მდებარე სართული მინის საცხოვრებელი სივრცეა — ნახევრად შიგნით, ნახევრად გარეთ; ზედა დონე კი ბავშვებისა და მშობლების ოთახებად იყოფა. სახლის ცენტრში მდებარე 3 x 3.5 მეტრიანი ლიფტის ჰიდრავლიკური პლატფორმა მოძრაობს სამ სართულს შორის და მუდმივად ცვლის სახლის ფუნქციურ სტრუქტურას — ის შეიძლება იყოს მისაღების და სამზარეულოს ნაწილი, სამუშაო სივრცეზე ან ბიბლიოთეკაზე წვდომის საშუალება.

არქიტექტორი რემ კოლჰასი | *1944

რემ კოლჰასმა კარიერა დაიწყო ჟურნალისტად, ხოლო მოგვიანებით მუშაობდა კინომხატვრად, მათ შორის, ჰოლივუდშიც. 1975 წელს მან დაარსა OMA (Office for Metropolitan Architecture) რაც მისი ჯგუფის ექსპერიმენტულ ხედვას ასახავდა. OMA-ს მნიშვნელოვანი ნაგებობებია: ნიდერლანდების ცეკვის თეატრი ჰააგაში, Kunsthal როტერდამში, Très Grande Bibliothèque პარიზში, ZKM კარლსრუეში, Garage Museum მოსკოვში, Fondazione Prada მილანში. ჯილდოები: Pritzker Prize (2000), Praemium Imperiale (2003), სამეფო ოქროს მედალი (2004) და Mies van der Rohe Prize (2005).

05.03.

20:00 H

რიო RIO



კადრი ფილმიდან

რ: სარა მორისი / D: Sarah Morris
 2012
 88 წუთი / 58 minutes
 ორიგინალური ვერსია / Original version

RIO — წინააღმდეგობრივი ქალაქის მატრიცა სარა მორისის ხელშეწყობით

1998 წლიდან სარა მორისი ქმნის ფილმებს, რომლებიც მსოფლიო ქალაქების ერთგვარ „ვიზუალურ სცენარებს“ წარმოადგენენ. ამ ნამუშევრებში აისახება ქალაქების პოლიტიკური, ეკონომიკური და ყოველდღიური ცხოვრება. მორისი წლებია იკვლევს გვიანი კაპიტალიზმის კულტურას, იდეოლოგიას და მათ გავლენას არქიტექტურაზე, ურბანულ დაგეგმარებასა და სოციალურ ბიუროკრატიაზე — პროცესს, რომელსაც მკვლევარი ბეტინა ფუნკე „თანამედროვე ჰიპერინტენსივობას“ უწოდებს. ფუნკე მორისის ნახატებსა და ფილმებს აღწერს, როგორც პარალელურ პრაქტიკებს, რომლებიც ქალაქს ერთდროულად აკვირდებიან, იკვლევენ და „თამაშობენ“ მის სტრუქტურებთან.

ფილმი RIO ასახავს ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ქალაქის — რიო დე ჟანეიროს — მრავალშრიან ურბანულ რეალობას. სარა მორისის კამერა მოძრაობს პლაჟებსა და ფაველებში, ბაზრებსა და საავადმყოფოებში, მოდერნისტული არქიტექტურის ნაგებობებსა და საფეხბურთო სტადიონებზე. ფილმი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ლოკაციებს, როგორებიცაა ოსკარ ნიმეიერის სტუდია, ქალაქის მერია, „ღმერთების ქალაქის“ უბანი და Brahma-ს ლუდის ქარხანა.

რიო დე ჟანეირო ფილმში წარმოჩნდება როგორც ერთგვარი მატრიცა, სადაც არქიტექტურა, ინდუსტრია, ისტორია და ყოველდღიური ცხოვრება ერთმანეთში

იკვეთება და ბრაზილიის იდენტობას ქმნის. მიკროსა და მაკროს, ლანდშაფტისა და შენობების, დღისა და ღამის მონაცვლეობით, მორისი ქმნის ჰალუცინაციურ ვიზუალურ სივრცეს, რომელიც სწავლობს ქალაქის ფსიქოლოგიას და მის ფერად ზედაპირებში ჩაბეჭდილ სოციალურ კონტრასტებს.

ფილმი ნაწილია მორისის ნამუშევრების სერიისა სახელწოდებით RIO, რომელიც ქალაქება ფოკუსირებული და შთაგონებას იღებს ურბანული ტიპოლოგიებიდან, ოსვალდო არტურო ბრატკეს, რობერტო ბურლე მარქსის, ლინა ბო ბარდისა და ოსკარ ნიმეიერის მოდერნისტული შენობებიდან და მათი გავლენიდან ბრაზილიის ვიზუალურ ლექსიკაზე, ასევე რიოს უნიკალური ლანდშაფტიდან. აბსტრაქტული კომპოზიციებისთვის მორისი იყენებს დინამიურ ფორმებსა და ფერებს, რომლებიც მაყურებელზე ელვისებურად მოქმედებენ.

ხელოვანი სარა მორისი | *1967

სარა მორისი ბრიტანელი ხელოვანი და რეჟისორია. გაიზარდა შეერთებულ შტატებში, სადაც სწავლობდა ფილოსოფიასა და სემიოტიკას, მოგვიანებით კი ფილმისა და დიზაინის მიმართულებით გაიარა კურსები. კარიერის ადრეულ ეტაპზე მუშაობდა ჯეფ კუნსის ასისტენტად, რამაც იგი ნიუ-იორკის ხელოვნების სცენას დააახლოვა. მორისი ცხოვრობს და მუშაობს ნიუ-იორკსა და ლონდონში; მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის Joan Mitchell Foundation Award (2001).

მის შემოქმედებაში არტი და ფილმი თანაბარი მედიუმებია. ორივეგან მორისი იკვლევს ურბანულ, სოციალურ და ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და მოდერნიზმის მემკვიდრეობას. დრო — მისი ნამუშევრების ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. მისი ფილმები ქალაქების დაკვირვებაა, სადაც კამერა სკანერით მოძრაობს და იკვლევს: სიცარიელესა და სისავსეს, პროცესს და მის დაუსრულებლობას.

Graphic design: © Studio Kurishvili

სიკვდილი ვენეციაში DEATH IN VENICE



კადრი ფილმიდან

Graphic design: © Studio Kuritsvili

MORTE A VENEZIA (ორიგინალი სათაური)
 რ: ლუკინო ვისკონტი / D: Luchino Visconti
 ო: პასკუალინო დე სანტისი / C: Pasqualino De Santis
 მ: პიერო ტოზი / S: Piero Tosi
 მ/რ: დირკ ბოგარტი, ბიორნ ანდერსენი, სილვანა მანგანო /
 S: Dirk Bogart, Bjorn Andersen, Silvana Mangano
 CINECITA იტალია / Italy
 1971
 130 წუთი / 130 minutes

DEATH IN VENICE — ვისკონტის კინემატოგრაფიული სინთეზი ლიდოზა

ვენეციის ლანდშაფტი და არქიტექტურა პირდაპირ კავშირშია თომას მანის (1875–1955) ნოველასთან „სიკვდილი ვენეციაში“, რომლის ძირითადი მოქმედება ლიდოზე ვითარდება. ნაწარმოები 1912 წელს დაიწერა, მას შემდეგ, რაც ავტორი ლიდოს ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ სასტუმროში — Grand Hotel Des Bains — ცხოვრობდა. მოგვიანებით, 1971 წელს, ლუკინო ვისკონტიმ (1906–1976) ამავე სასტუმროს ინტერიერებში ნოველის კინოვერსია გადაიღო, რამაც ლიდოს კულტურული მითოსი კიდევ უფრო განამტკიცა.

ვისკონტი აერთიანებს ლიტერატურას, მუსიკას, არქიტექტურას და კინოს მედიუმს, აყალიბებს რა მზერის ემოციურ ლექსიკას, რომელიც კუნძულის დეკადენტურ გარემოში ვითარდება. ფილმის კონცეფცია ეფუძნება „მზერის დრამატურგიას“ – მზერის მაგიურ ძალას, როცა ვიზუალს მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე სიუჟეტს. ფილმი ვითარდება მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე. ავანგარდისტი კომპოზიტორი გუსტავ აშენბახი (დირკ ბოგარდი) ლიდოზე მიემგზავრება, რათა შემოქმედებითი და პირადი სტრესებისგან განიტვირთოს. იქ მას მძაფრი ვნებები უჩნდება პოლონელ ბიჭ ტაძიოს (ბიორნ ანდერსენი) მიმართ,

რომელიც ლიდოზე ოჯახთან ერთად დასასვენებლად იმყოფება. აშენბახი გამუდმებით აკვირდება ტაძიოს სანაპიროზე, კამერა დაცურავს, თავბრუდამხვევად ტრიალებს და იცვლება, რაც ასახავს მთავარი გმირის გაურკვევლობას და მის ვუაიერისტულ დაინტერესებას. ფილმის დასასრულში შავი ჭირის ეპიდემია ვენეციაში მყოფებს ფიზიკური განადგურების საფრთხეს უქმნის. გუსტავ აშენბახი თავად ექცევა საკუთარი მზერის არეში, როცა ფინალურ ეპიზოდში მისი უსულო სხეული პლაჟიდან გააქვთ.

ფილმში „სიკვდილი ვენეციაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკას — გუსტავ მალერის მე-5 სიმფონია „ადაჟიეტოს“, რომელიც აშენბახის ემოციურ სამყაროს ლიდოს სანაპიროს ფონზე გარდასახავს — მალერთან აშენბახის მსგავსებას თომას მანიც აღნიშნავდა. როგორც გუსტავ მალერი, ასევე თომას მანი გასული ეპოქის კულტურის წამყვან ფიგურებს წარმოადგენენ. ვარაუდობენ, რომ მალერი უფრო რეპრესირებული ჰომოსექსუალი იყო, რაც მის შემოქმედებაზეც აისახა — თომას მანი კი უფრო ღიად ეკიდებოდა საკუთარ სექსუალურ იდენტობას, რაზეც მისი ლიტერატურული თემები მეტყველებენ. უკვე 64 წლის ლუკინო ვისკონტის, რომლის შემოქმედებითი კარიერა 30 წელზე მეტს ითვლიდა, საკმაო გამბედაობა დასჭირდა, რათა თომას მანის ნოველის ეკრანიზაცია მოეხდინა.

GRAND HOTEL DES BAINS | 1900

სასტუმროს ისტორია მჭიდროდ უკავშირდება მე-20 საუკუნის პოლიტიკურ პროცესებს: 1934 წელს Des Bains სტუმრობდა ჰიტლერი და მუსოლინისთან შეხვედრაც სწორედ აქ გაიმართა. ამჟამად შენობა კერძო საინვესტიციო ფონდს ეკუთვნის, რომელიც რეაბილიტაციის პროექტს გეგმავს. ერთადერთი, რაც თითქმის ხელუხლებელია, ეს სასტუმროს პლაჟია. იგი დღესაც ისეთია, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში იყო.